

ხელშეკრულება
სილკნეტი (OTT) სატელეფონო მომსახურების შესახებ

აბონენტის გვარი, სახელი _____

დაბადების თარიღი _____ პირადი N _____

რეგისტრაციის მისამართი _____

ფაქტური მისამართი _____

ელ.ფოსტა/საკონტაქტო ნომერი/მობილურის _____

სატარიფო გეგმა ეროვნულ ვალუტაში (ლარში)

სააბონენტო 7 10

აბონენტის პერსონალური კოდი	
აბონენტის მიერ შერჩეული ტელეფონის ნომერი	
პირადი ანგარიში	

აბონენტი ადასტურებს, რომ მას გადაეცა ხელშეკრულება მისი დანართებით (დანართი N1- „სატარიფო გეგმა“ და დანართი N2 „ძირითადი წესები და პირობები“).
იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი შეივლის ზემოაღნიშნულ რომელიმე რეკვიზიტს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეტყობინოს „სილკნეტს“ ამ ცვლილების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, „კომპანია“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას მისთვის ცნობილ „აბონენტის“ შესაბამის მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების შედეგად შესაძლოდ წარმოშობილ ნებისმიერი სახის ზიანსა თუ ზარალზე.
აბონენტს შეუძლია, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელი ნებისმიერი თანხის გადახდა უნაღდო ანგარიშსწორების გზით - „ფვი ბოქსების“ და ინტერნეტ გადახდების საშუალებით.

აბონენტი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მან მიიღო აბონენტის პერსონალური კოდი და იღებს სრულ პასუხისმგებლობას მის შენახვაზე, გამოყენებასა და გადაცემაზე. აღნიშნული პერსონალური კოდის გამოყენებისას ჩაითვლება, რომ სახეზეა აბონენტის ნება.

ხელშეკრულების ან გვერდზე აღნიშნული ყველა ველი სავალდებულოა შესავსებად

- ეს ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში. „აბონენტი“, „ხელშეკრულების“ ცალმხრივად შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, ვალდებულია წერილობით მიმართოს „სილკნეტის“ ნებისმიერ სერვის ცენტრს და მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა „ძირითადი წესების და პირობების“ შესაბამისად. ამასთან, „აბონენტი“ ვალდებულია, ჯეროვნად დაფაროს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის დღისათვის „სილკნეტის“ წინაშე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურების შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი გადასახდელი თუ დაგაიანება. „ხელშეკრულების“ მოქმედება მისი ვადის გასვლისთანავე ავტომატურად გრძელდება, იმავე ვადითა და იმ დროისათვის არსებული „კომპანიის“ მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
- „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული მომსახურების გააქტიურება მოხდება „ხელშეკრულების“ ხელმოწერისა და ტექნიკური სამუშაოების დასრულების დღიდან არაუგვიანეს 24 საათში.
- „აბონენტის“ მიერ „მომსახურების ღირებულების“ გადახდა ხორციელდება „ხელშეკრულების“ დანართი #1 შესაბამისად.
- „აბონენტი“ უფლებამოსილია მიიღოს დადგენილი ხარისხის „მომსახურება“ და ვალდებულია დროულად და სრულად გადაიხდოს „მომსახურების ღირებულება“ ხოლო „სილკნეტი“ ვალდებულია მიაწოდოს „აბონენტს“ დადგენილი ხარისხის „მომსახურება“.
- „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „აბონენტი“ თანახმაა მის სახელზე დარეგისტრირდეს/გაფორმდეს ამ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „მომსახურება“. „აბონენტი“, ასევე აცხადებს, რომ მას გააჩნია კანონიერი უფლებამოსილება (ნებათაშეცხადება/თანხმობა), რაც აუცილებელია ამგვარი „მომსახურების“ მის სახელზე მისაღებად.
- „კომპანია“ უფლებამოსილია „ძირითადი წესების და პირობების“ მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური შეტყობინების გზით „აბონენტისათვის“ მიწოდებული შეტყობინების
- „ხელშეკრულება“ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- „ძირითადი წესები და პირობები“ თან ერთვის ამ ხელშეკრულებას (დანართი #2) და წარმოადგენს ამ „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს და ასევე განთავსებულია „სილკნეტის“ ვებ-გვერდზე: www.silknet.com.
- „აბონენტი“ ადასტურებს, რომ „ხელშეკრულებაზე“ იგი ხელს აწერს ნებაყოფლობით და გააზრებული აქვს როგორც „ხელშეკრულების“ ასევე „ძირითადი წესების და პირობების“ ყველა პირობა და დებულება.
- „ხელშეკრულება“ მასში განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით ვრცელდება და სავალდებულოა „მხარეთა“ უფლებამონაცვლეებისა თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის.
- „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ გარდა სხვა დამატებითი მომსახურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი იქნება დანართის სახით.

„სილკნეტის“ წარმომადგენელი (სახელი და გვარი გარკვევით) _____ „აბონენტი“ _____

მის: თბილისი, წინამძღვრიშვილის 95; ტელ: 2 100 100, ელ.ფოსტა: info@silknet.com

ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება

12. ყველა პირობა, მხარეთა უფლება-მოვალეობანი და სხვა დებულებები რაც არ არის გათვალისწინებული "ხელშეკრულებით", რეგულირდება "ძირითადი წესებით და პირობებით";
13. „აბონენტი“, „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით ადასტურებს, რომ იგი გაეცნო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 17.03.2006წ. #3 დადგენილების „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტს“.
14. გარდა „ხელშეკრულებითა“ და „ძირითადი წესებითა და პირობებით“ გაცხადებული გარანტიებისა, „აბონენტი“ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მან სრულად და ჯეროვნად მიიღო „კომპანიისაგან“ ტელეფონის დამონტაჟებასთან დაკავშირებული მომსახურება და მომსახურებისათვის საჭირო სხვადასხვა ძირითადი და დამხმარე ტიპის მოწყობილობები („ძირითადი წესებითა და პირობებით“ გათვალისწინებული „ტექნიკური მოწყობილობები“).

დანართი 1

სილქფონ OTT მომსახურების სატარიფო გეგმა.

სილქფონ OTT მომსახურების პაკეტი	პაკეტი 1	პაკეტი 2
მომსახურების მოწყობა		
სილქფონ OTT მომსახურების მოწყობა (username-ის და პაროლის გადაცემა)	10 ლარი	
სილქფონ OTT მომსახურების მოწყობა – username-ის და პაროლის გადაცემის და მათი აბონენტის კუთვნილი მოწყობილობაში გაწერის ღირებულება	20 ლარი	
არსებული სილქფონ OTT -ს აბონენტისათვის სილქფონ OTT მომსახურების მოწყობა – username-ის და პაროლის გადაცემის და მათი აბონენტის კუთვნილი მოწყობილობაში გაწერის ღირებულება	10 ლარი	
სილქფონ OTT მომსახურების მოწყობა Voip ადაპტერის საშუალებით (Voip ადაპტერი აბონენტს გადაეცემა საკუთრებაში სილქფონ OTT მომსახურების მოწყობა – username-ის და პაროლის voip ადაპტერში გაწერის და voip ადაპტერის აბონენტის საკუთრებაში გადაცემა	150 ლარი	
ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი	7 ლარი	10 ლარი
პაკეტების სააბონენტო მოივავს სასაუბრო წუთების ღირებულებას სილქნეტის ქსელში	2000 წუთი	4000 წუთი
1 წუთი ზარის ღირებულება:		
სილქნეტის ადგილობრივი და საქალაქთაშორისო ქსელი (სააბონენტო პაკეტით გათვალისწინებული სასაუბრო ლიმიტის ამოწურვის შემდგომ)	0.02 ლარი	0.02 ლარი
ადგილობრივი ზარი სხვა ოპერატორების ფიქსირებული ქსელში*	0.04 ლარი	0.04 ლარი
საქალაქთაშორისო ზარი სხვა ოპერატორების ფიქსირებული ქსელში	0.06 ლარი	0.06 ლარი
ზარი სხვა ოპერატორების უსადენო ქსელში	0.04 ლარი	0.04 ლარი
706 ინდექსი (საზღვარგარეთ VOIP ტელეფონი)	0.06 ლარი	0.06 ლარი
ზარი მობილური ოპერატორების ქსელში (ბილანის გარდა)	0.15 ლარი	0.12 ლარი
ზარი მობილური ოპერატორის ბილანის ქსელში	0.20 ლარი	0.15 ლარი
ზარი მობილური ოპერატორის გლობალ სელი ქსელში	0.20 ლარი	0.15 ლარი
დავალიანების ლიმიტი	იმ შემთხვევაში თუ, სილქფონ OTT მომსახურება რეგისტრირებულია სილქნეტის არსებულ ანგარიშის ნომერზე, სილქფონ OTT მომსახურებაზე გავრცელდება ანგარიშის ნომერზე არსებული მომსახურების შესაბამისი ლიმიტი;	

* სილქნეტის ფიქსირებული ქსელიდან, განსაზღვრული ოპერატორების ფიქსირებული ქსელ(ებ)ის მიმართულებით ადგილობრივი ზარის ტარიფი შეადგენს 6 თეთრს; ოპერატორების ჩამონათვალი: შს ალექს დეველოპმენტ ჯორჯია; შს ა-ნეტ; შს კავკასუს ონლაინი (გარდა კავკასუს ონლაინის ფიქსირებული ქსელის ზუგდიდის ნუმერაციის მიმართულებებისა); შს კავკასიის ციფრული ქსელი; შს ჯეონეთი; შს ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი; შს საქართველოს რკინიგზა; სს გლობალ ერთი; შს გ.ს.ი. ტექნოლოგიები; შს ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს-ი; შს კეთილი ნების კომუნიკაციები-გუდვილკომი; სს ინფოჯორჯია XXI; შს ინტელ ფონი; შს ლაგი; შს მაგთიკომი * ; შს მობილტელი; შს მაიფონი; შს სერვისნეტი; შს ახალი ქსელები ** ; შს ბოლნისის ახალი ქსელები;

შენიშვნა *

* მხოლოდ ფიქსირებული სადენიანი ქსელი;

**მხოლოდ ზესტაფონი, ფოთი, ბოლნისი;

** სილქნეტის ქსელიდან შს კავკასუს ონლაინის ფიქსირებული ქსელის ზუგდიდის ნუმერაციის მიმართულებით ზარის ტარიფი შეადგენს 8 თეთრს.

ფასი მოიცავს დღგ-ს.

მომსახურების მოწყობის ღირებულების გადახდის პირობები:

1. მომსახურების მოწყობის ღირებულების გადახდა ხდება წინასწარ; მომსახურების მოწყობის ღირებულებასთან ერთად, აბონენტმა ანგარიშზე უნდა შეიტანოს პირველადი საავანსო შენატანი არანაკლებ 1 ლარის ოდენობით;
2. მომსახურების ყოველთვიური სააბონენტო/მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება:
 - შემდგომი გადახდის წესით, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვში;
 - წინასწარი გადახდის წესით.

მომსახურების ღირებულების შემდგომი გადახდისას მომსახურების შეზღუდვის/შეწყვეტის პირობები:

- **მომსახურების ცალმხრივად შეზღუდვის პირობა:** გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, სატელეფონო მომსახურება იზღუდება ცალმხრივად; ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 თვის განმავლობაში,* აბონენტს ერიცხება სააბონენტო გადასახადი და მომსახურების გადაუხდელობის ყოველთვიური ჯარიმი;
- **მომსახურების ორმხრივად შეზღუდვის პირობა:** ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 თვის* გასვლისთანავე (დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში), აბონენტს სატელეფონო მომსახურება ეზღუდება ორმხრივად (ეზღუდება შემავალი ზარები);

„სილქნეტის“ წარმომადგენელი (სახელი და გვარი გარკვევით) _____

„აბონენტი“ _____

- **მომსახურების აღდგენის პირობა:** მომსახურების ორმხრივად შეზღუდვიდან 4 თვის განმავლობაში აბონენტს ენახება სატელეფონო ნომერი და აღნიშნულ პერიოდში, დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში, მას უფლება აქვს ყოველგვარი დამატებითი გადასახდელის გარეშე, აღიდგინოს მომსახურება.
- იმ პერიოდის განმავლობაში როდესაც აბონენტს ორმხრივად აქვს შეზღუდული მომსახურება, მას არ ერიცხება სააბონენტო გადასახადი და დავალიანების გადაუხდელობის ყოველთვიური ჯარიმა.
- ორმხრივად შეზღუდვიდან 4 თვის გასვლის შემდეგ აბონენტს საშუალება ეძლევა აღიდგინოს სატელეფონო მომსახურება, დავალიანების სრულად დაფარვის და მომსახურების მოწყობის ღირებულების გადახდის შემდეგ.
- **ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად,** თუ მომსახურების ორმხრივად შეზღუდვიდან 4 თვის გასვლისთანავე არ მოხდება დავალიანების სრულად დაფარვა.

***ცალმხრივად შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული სამი თვე.**

მომსახურების ღირებულების წინასწარი გადახდისას მომსახურების შეზღუდვის/შეწყვეტის პირობები:

- **მომსახურების ცალმხრივად შეზღუდვის პირობა:** გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, სატელეფონო მომსახურება იზღუდება ცალმხრივად (ეზღუდება გამავალი ზარები) 60 დღის განმავლობაში;
- **მომსახურების ორმხრივად შეზღუდვის პირობა:** ცალმხრივად შეზღუდვიდან 60 დღის გასვლისთანავე (დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში), აბონენტს სატელეფონო მომსახურება ეზღუდება ორმხრივად (ეზღუდება შემავალი ზარები);
- იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც აბონენტს ცალმხრივად/ორმხრივად აქვს შეზღუდული მომსახურება, მას არ ერიცხება სააბონენტო გადასახადი და დავალიანების გადაუხდელობის ყოველთვიური ჯარიმა.
- **ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად,** თუ ორმხრივად შეზღუდვიდან 90 დღის განმავლობაში არ მოხდება დავალიანების სრულად დაფარვა/ დადებითი ბალანსის შევსება.

აბონენტს შეუძლია მიიღოს ჯამში არაუმეტეს 3 (სამი) ცალი სილქონ OTT მომსახურება.

აბონენტს აღნიშნული მომსახურება შეუძლია მიიღოს მომხმარებლისა და პაროლის გაწერით საკუთარ პროგრამულ უზრუნველყოფაში ან Voip ადაპტერის საშუალებით.

აბონენტს, წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთარ პროგრამულ უზრუნველყოფაში მომხმარებლისა და პაროლის გაწერით, შესაძლებლობა ეძლევა, მიიღოს სატელეფონო მომსახურება ნებისმიერ ინტერნეტ პროვაიდერის საშუალებით, თუ ეს უკანასკნელი არ ზღუდავს სილქონ სატელეფონო სერვისის გატარებას მის კუთვნილ ინტერნეტ ქსელში. მოცემული პირობიდან გამომდინარე, ვინაიდან აღნიშნული მომსახურების მიღება დამოკიდებულია მესამე პირის (სხვა ინტერნეტ პროვაიდერის) მიერ გამოყოფილი ინტერნეტ არხით მომსახურებაზე, შესაბამისად, სატელეფონო მომსახურების ხარისხისა და უწყვეტობის მხრივ, სილქნეტი არ იღებს პასუხისმგებლობას აბონენტის მიერ გამოყენებულ ინტერნეტ პროვაიდერის არხის გამტარიანობასა და სილქნეტის სერვერამდე წვდომის უზრუნველყოფაზე.

ძირითადი და დამატებითი მომსახურების სახეების, ტარიფების, მომსახურების შეზღუდვის/აღდგენის/შეწყვეტის და სხვა პირობების შესახებ ინფორმაციას აბონენტი დამატებით შეიძლება გაეცნოს "სილქნეტის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე: WWW.SILKNET.COM, "სილქნეტის" სერვის-ცენტრებში ან/და სატელეფონო ცხელ ხაზზე: 2 100 100.